საჯარო სამართლის იურიდიული პირი
სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტი
Legal Entity Public Law
SAMTSKHE –JAVAKHETI STATE UNIVERSITY
წარმომადგენლობითი საბჭო REPRESENTATIVE COUNCIL

ოქმი № 2 „18" 04 2022 წ.

დადგენილება № 6

სსიპ-სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტის ბალანსზე რიცხული, ქ. ახალქალაქში აღმაშენებლის ქ. N119-ში მდებარე აღრიცხვის მოწყობილობის სისტემის ოპერატორისთვის სს „ენერგო-პრო ჯორჯიას" -თვის მფლობელობაში გადაცემის შესახებ

„უმაღლესი განათლების შესახებ" საქართველოს კანონის მე-18 მუხლის პირველი პუნქტის „ნ" ქვეპუნქტის და 85-ე მუხლის 1[1] პუნქტის, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 51-ე მუხლის პირველი ნაწილის, 52-ე მუხლის პირველი და მე-2 ნაწილების, 53-ე მუხლის მე-3 ნაწილის, „საჯარო სამართლის იურიდიული პირის – სამცხე–ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტის წესდების დამტკიცების თაობაზე" საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2014 წლის 13 მაისის N52/ნ ბრძანებით დამტკიცებული წესდების მე-11 მუხლის პირველი პუნქტის „ო" ქვეპუნქტის, 39-ე მუხლის მე-5[1] პუნქტის, სსიპ სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტის წარმომადგენლობითი საბჭოს 2014 წლის 10 დეკემბრის N44 დადგენილებით დამტკიცებული წარმომადგენლობითი საბჭოს რეგლამენტის მე-4 მუხლის „ტ" ქვეპუნქტის თანახმად:

წარმომადგენლობითი საბჭო ადგენს:

1. სსიპ - სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტის ბალანსზე რიცხული, ქ. ახალქალაქში აღმაშენებლის ქ. N119-ში მდებარე აღრიცხვის მოწყობილობა მფლობელობაში გადაეცეს სისტემის ოპერატორს სს „ენერგო-პრო ჯორჯიას" 5 წლის ვადით.
2. დადგენილების პირველი პუნქტით განსაზღვრული საკითხი შეთანხმების მიზნით წარედგინოს საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს.
3. დადგენილება ძალაშია ხელმოწერისთანავე.
4. დადგენილება გაეგზავნოს სსიპ - სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტის ადმინისტრაციის ხელმძღვანელის აპარატს, აღრიცხვა-ანგარიშგების სამსახურს და განთავსდეს ვებ-გვერდზე.
5. საფუძველი: სს „ენერგო-პრო ჯორჯიას" სამხრეთ საქართველოს რეგიონის დირექტორის გიორგი მეგრელიშვილის წერილი.
6. დადგენილება შეიძლება გასაჩივრდეს დაინტერესებული პირის მიერ კანონმდებლობით დადგენილი წესით გაცნობის დღიდან ერთი თვის ვადაში ახალციხის რაიონულ სასამართლოში, მისამართზე ქ. ახალციხე, კ. მებაღიშვილის ქ. N62.

წარმომადგენლობითი საბჭოს
სპიკერი, პროფესორი ლავრენტი ჩიბურდანიძე

ქ რუსთაველის ქ. №113. 0800 ახალციხე, საქართველო
113, Rustaveli st., 0800 Akhaltsikhe, Georgia
ტელეფონი: 5(99) 063 366, 5(77) 050 640 Tel.
ფაქსი: +995 365 22 19 90 Fax